ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3547952

ნომერი: AR1533812

თარიღი : 20.08.2017

გაცემის თარიღი : 18.09.2017

გაცნობის თარიღი : 18.09.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვლადიმერ კანდელაკი პ/ნ 01018003087
- თბილისი,თორაძის ქN9

ორგანიზაცია:
- ლეჩკომბინატი #1 კოდი: 204577216

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები
  ახალი მშენებლობა
- ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობა (მაყურებელთა ტრიბუნებისა და მათი ინფრასტრუქტურის გარეშე)
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N5-ში ყოფილი სამკურნალო კომბინატის ტერიტორიაზე საბავშვო გასართობი მოედნისა და სარეკრეაციო ფუნქციის გამწვანებული სკვერის მოწყობისთვის წერილობითი დასტურის გაცემის საკითხს. პასუხად გაცნობებთ, რომ როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები (გრუნტის შემაკავებელი საყრდენი კედლის განთავსება) განეკუთვნება მშენებლობის ისეთ სახეობას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას, შესაბამისად, თქვენს მიერ არასწორად მოხდა განაცხადის დარეგისტრირება, ამასთან "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (პირველი სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; მეორე სტადია – არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; მესამე სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა). მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N5-ში ყოფილი სამკურნალო კომბინატის ტერიტორიაზე საბავშვო გასართობი მოედნისა და სარეკრეაციო ფუნქციის გამწვანებული სკვერის მოწყობისთვის წერილობითი დასტურის გაცემის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.